№ 30
შაბათი, 3 ოქტომბერი 1909წ.

# მომავალი

№ 30
შაბათი, 3 ოქტომბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი


## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**



წარმოდგენა № 3. წარმოდგენა № 3.

## ქართული თეატრი

**კვირას, 4 ოქტომბერს,** ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქ-ნ **ნ. კოლხიდელის** და **ან. ჩირგაძის** მონაწილეობით პიესა ა. ოსტროვსკისა

## უდანაშაულოთ დასჯილნი

4 მოქმედებათ თარ. ივ. მაჩაბარიანისა.

**არდგენენ** ქ-ნნი: ნ. კოლხიდელი, მ. მდივანი, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ან. ჩირგაძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ვ. მატარაძე, ი. ქეიძე, ი. ზარდალაშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები—10 მ. 50 კ. 5 მ-დე; პარტერი—2 მ. 50 კ. 60 კ-მდე; გალერია—40 კ.—20 კ-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „ფარისეველი“, „დამბაჩა და რევოლვერი“.

მორიგი რეჟისორი კ. **შათირიშვილი** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე**

**დრამატიული საზოგადოების ადმინისტრაცია.**

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**კვირას, 4 ოქტომბერს** 1909 წელს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების სექც—გან წარმოდგენილი იქნება [illegible]

## შემოსავლიანი ადგილი

კომედია 5 მოქმ. ოსტროვსკისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპეიკამდე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათ საღამოს, 15 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენათ: „ღალატი“ სუმბათოვისა, „ექიმი მტრუმანი“ იბსენისა და სხვა.

**დაბეჯითებით** ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**

**ვოგზლის**

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ს. ვაშაყმაძე **კბილის ავათმყ.** ყოველ დღე. 9—01 ს.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე. 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. ზოზოვი: ყოველ დღე გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს $^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. მ. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

100—72

**ნაფიცი ვექილი**

## სერგეი დ. ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა თფილისში**

ბორსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11. (სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

**კბილის ექიმი**

## ს. ა. ცეიტლინი

კბილის და და პირის ავათმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავათმყ. მ დება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. № 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, № 3). შესავალი სემი ნოვის ქ. (10—5)

## სახალხო უნივერსიტეტი

**ქალაქის ხახალხო სახლი გ. ი. ზუბალაშვილების სახელობაზე.**

**კვირას, 4 ოქტომბერს** წაიკითხავენ ორ ლექციას გ. ბ. გვაზავა შემდეგ თემაზე:

I

საერობო რეფორმა კავკასიაში

1) რა არის ერობა? 2) ერობის ადგილი პოლიტიკურ წესწყობილების სისტემაში; 3) ტერიტორიალური დაყოფის საფუძველი; 4) საერობო ორგანოთა მოქმედების უწყების ფარგლები და კანტროლის წესრიგის ფარგლები; 5) ქალაქების როლი საერობო დაწესებულებათა სისტემაში; 6) საარჩევნო უფლების საფუძველი.

II

ა. ი. **ხატისოვი** იმავე თემაზე.

1) საერობო რეფორმის მნიშვნელობა კავკასიისთვის; 2) მოკლე ისტორია კავკასიაში ერობის შემოღების საკითხის შესახებ; 3) უკანასკნელ ფაზისები ამ საკითხისა (1905—1909 წ.წ.); 4) თათბირი ერობის რეფორმაზე თფილისის გუბერნიაში და მთავარი მიმდინარეობანი, რომლებიც ამ თათბირზე გამოირკვა.

**ლექციის დასაწყისი—პირველი დილის 11 საათზე, მეორე 12 ნახევარ საათზე. ფასები თვითეულ ლექციაზე 5 კ. 20 კ.-მდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილით 12—2 საათამდე, საღამოთი 6—8 საათამდე.**

**კბილის ექიმი**

## ს. ვაშაყმაძე

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

**კბილის ექიმი**

## ი. შ. ჭანტურია

ილებს ავათმყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

საშუალო სასწავლებელ კურს-დამთავრებულთა და სტუდენტთა

## ჯგუფი

**ამზადებს** მოსწავლეებს საშუალო სასწავლებლის 1—7 კლ. მოსწავლეები მიიღებიან 5 მ. თითოეული, უკეთუ ჯგუფი შედგება. ჩაწერა შეიძლება დილის 10—2 საათ. ბარიათინსკის ქუჩა, სამეურნეო საზოგადოების შენობაში, საღამოობით 5—7 საათამდე. გოგოლის ქუჩა № 53. (2—ნ.—1)


### თფილისი, 3 ოქტომბერი.

უსახელო საზოგადოებასა და მუშათა შორის ეკონომიურ მოთხოვნილებათა ნიადაგზე მომხდარი უთანხმოება ჯერეთაც არ დასრულებულა. სამი წლის წინათ თუ მუშები უყენებდენ ხსენებულ საზოგადოებას მოთხოვნილებას მოთხოვნილებაზე, ამ ბოლო ხანებში ეს შეტრიალდა და მოთხოვნილების წამოყენება საზოგადოების წარმომადგენლებმა იწყეს; წელის გასამაგრებლათ კი მთავრობას მიმართეს და ნამესტნიკის ბრძანებით კიდევაც დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა მოწესრიგება დამოკიდებულებათა ერთი მხრით ქალაქსა და უსახელო საზოგადოებას შორის და მეორე მხრით საზოგადოებასა და მოსამსახურეთა შორის. სანამ ხელსაყრელი იყო ეს კომისია „საზოგადოებისთვის“, ის მას პატივისცემით ეპყრობოდა, ხშირათ მიმართავდა და მის ავტორიტეტს იყენებდა მუშებთან შეტაკების დროს; როდესაც კომისია უნდა შესდგომოდა დირექციის მიერ წარდგენილ მოთხოვნილების საფუძვლიანობის განხილვას, მაშინ რო- დირექცია თავის უფლებას აცხადებს, რომ თავის მოსამსახურეების უფროსი მხოლოდ ის არის და არა სხვა ვინმე, მხოლოდ მას შეუძლია იქონიოს მსჯელობა წაყენებულ მოთხოვნილების საფუძვლიანობაზე და არა სხვა ვინმეს. კომისიაც თავის მხრით ამას ყურს უგდებს და ამ რიგათ კომისია სწორეთ მაშინ აცხადებს თავის უკომპეტენტობას, როცა ის არსებითად უნდა შეხებოდა საზოგადოების მოქმედებას. რომ მთავრობა და მისი აგენტები არ მიმართავდენ ეგრეთ წოდებულ „უსმოტრენიეს“ და მხოლოდ მაშინ ერეოდენ კაპიტალისტთა და მუშათა შორის ატეხილ დავაში, როდესაც რომელიმე მხარე უფლებრივ ნორმებს არღვევს, მაშინ კიდევ ჰო, საზოგადოების ნაწილის თვალში მაინც ექნებოდა ამგვარ ჩარევას შესაწყნარებელი საბუთი, მაგრამ სულ სხვაა, როცა ყველაფრის ნება აქვს ერთ მხარეს, მეორისთვის კი ყველაფერი აკრძალულია. გაფიცვა აკრძალულია მუშებისთვის, საამხანაგო კომისიები აკრძალულია მუშებისთვის, მუშათა პროფესიონალური კავშირები კანონს გარეშე არიან დაყენებულნი და სხვა. და ყოველივე ეს ხდება იმავე კაპიტალისტების სასარგებლოთ და ხშირათ მათი თაოსნობით. ამის მაგალითს იძლევა იგივე უსახელო საზოგადოების ცხოვრების პრაქტიკა. სამი წლის განმავლობაში არსებობდა საამხანაგო კომისია, სამი წლის განმავლობაში მას მუშებისთვის და თვით დირექციისთვის უეჭველი სარგებლობა მოქონდა და მერე დაკეტილ იქნა; ერთ დროს დირექცია თითონ თხოვდა გენერალ-გუბერნატორს მის ნებართვას და ეს სურვილი შესრულებული იქნა კიდევაც, მერე კი დაკეტვაც იმავე დირექციის თაოსნობით მოხდა. პროფესიონალური კავშირი ტრამვაის მოსამსახურეთა დაიკეტა თითქოს ბ. ხატისოვის ლექციის გამო, ნამდვილათ კი პროფესიონალური კავშირი ვიღაცასთვის მავნებელი იყო და მისი დაკეტვის მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

დღევანდელ დავაში მუშები მხოლოდ თავს იცავენ, მხოლოდ არსებული პირობების შენახვას მოითხოვენ დირექციისაგან და ამისათვის რამდენიმე ათი კაცი საგენერალგუბერნატოროს საზღვრებიდან ცივ ქვეყნებისკენ იგზავნებიან. დღეს, როცა პირობას არღვევს თვით დირექცია, უკან მიაქვს ხელშეკრულობა და ლოკაუტს უცხადებს მუშებს, ახლა გვესმის: კომისია ვერ შევა ეკონომიურ კითხვების არსებით განხილვაში, ეს მის კომპეტენციას აღემატებაო. ეს შემთხვევა ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს, რომ სანამ კაპიტალისტებისთვის სასარგებლოა, მთავრობა ნებას აძლევს თავის თავს ჩაერიოს მუშათა და კაპიტალისტთა შორის ატეხილ დავაში და უკანასკნელთა სასარგებლოთ იმოქმედოს, ხოლო როცა კაპიტალისტები არღვევენ ხელშეკრულობას, ფეხ-ქვეშ თელავენ ყოველგვარ პირობებს, მაშინ ამბობენ: ეს ჩვენ კომპეტენციას აღემატებაო, ეს ჩვენ არ შეგვეხებაო...

### კიდევ ვისი ბრალია?

(გაგრძელება)

აქ უნებლიეთ მაგონდება ბატონ Baton-ის შემდეგი სიტყვები:

„ერი, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ბუნებრივი, ცოცხალი სულიერი ორგანიზმია და თუ ეს ორგანიზმი სხვა ორგანიზმისაგან არის დამონებული, შებოჭილი, მას ინაციატივისა და შემოქმედობის გამოჩენა არ შეუძლია. თავისუფალი ერი კი ყოველთვის უფრო შემოქმედია, ის როგორც მონაზე მეტათ თავისუფალი პიროვნება, იჩენს ინიციატივასა და შემოქმედებას“.

„მაგრამ როგორც პიროვნებას აქვს გრძნობა და ინსტინქტი, სურვილი და შეუჩერებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელს ერს აქვს ესევე ინსტინქტი და სურვილი და მით აიხსნება, რომ მიუხედავათ მოპირდაპირე კლასთა ნივ- ლი ერი განურჩევლათ წოდებისა და კლასისა, იბრძვის გარეგან თავისუფლების მოსაპოებლათ, რომ უფრო „მტკიცეთ დაადგეს პროგრესის გზაზე“ („ერი“ № 1. გვ. 7.).

ვგონებ, რუსთა ერის ორგინიზმი სხვა გარეშე ერის ორგანიზმისგან არ არის დამონებული, მაგრამ აბა ერთი გვიბრძანეთ, სადღა ჩანს დღეს ამ ერის ინიციატივა და შემოქმედება ან რაში გამოიხატება იგი? რომელი გარეშე მტრისაგანაა დამონებული ეს ხალხი, რომელმაც მთელი ქვეყნის ერთი მეშვიდედი დაიპყრო და ამ წამში კი ისე ძევს, თითქო უძრავი ლოდი იყოს და არა ცოცხალი ორგანიზმი აღსავსე ცხოვრების ინსტინქტებით და თავის დაცვის მისწრაფებით? ან განა სხვა მაგალითები კი არ იცის თითონ ბ. Baton-მა, როცა გარეშე ძლიერებით მოსილი ერი ერთ მშვენიერ დროს თავდაყირა ეშვებოდა და ისტორიის უფსკრულში ინთქებოდა სწორეთ იმის გამო, რომ ამ ერის კლასთა შორის არსებულმა წინააღმდეგობამ გასავალი გზა ვერ იპოვა? რომ მოინდომოს ბ—ნი Baton-ი ამის ურიცხვ მაგალითებს მოიყვანს, მაგრამ რა ისტორიული მაგალითები, როცა რუსეთი კიდევ თვალწინ გვაქვს. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც რუსეთის სახელი ნამდვილი საფრთხობელა იყო ქვეყნის ოთხივე კუთხეში. გარეგანი სიძლიერე რუსეთის ბელზებულივით დასტრიალებდა თავზე საუკუნოების განმავლობაში მთელი ქვეყნის რეაქციას და ასულდგმულებდა მას. რამდენი ერის ბედ-იღბალი გადაწყვიტა რუსეთმა თუნდა მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში!

ერთი სიტყვით, თუ ვისმე ფლობდა რუსეთი, თორემ არავის ემორჩილებოდა; მიუხედავათ ამისა რუსეთის ერი დღეს უფრო დაზაბაკებულს და არა საღს და სიცოცხლით სავსე ორგანიზმს წარმოადგენს, მიუხედავათ მისი აურაცხელი სიმდიდრისა და საუკეთესო გეოგრაფიული მდებარეობის, მიუხედავათ იმისა, რომ მუშა ხალხი მილიონობით გულზე ხელდაკრეფილი უცდის სამუშევარს, რუსეთის ერი დღითი-დღე ღარიბდება, ეს ამოდენა ქვეყანა დღეს ევროპის უზარ-მაზარ კალონიათ გადაქცეულა, თუმცა გარეგნულათ ის სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზმია. ევროპიელები მაინც დღეს რუსეთს ისე უყურებენ, როგორც თქვენ მოვალეს, რომელსაც შეგიძლიათ ციხეში ამოაყოფინოთ თავი, ან და ყველაფერი აუწეროთ რაც კი გააჩნია და ქონებაზე ხელი აღებინოთ. აურაცხელი ზედ-მეტი ღირებულება, რომელსაც წლიდან-წლამდის ქმნის რუსეთის ხალხი, უმთავრესათ გადადის საზღვარგარეთელი კაპიტალის ხელში, ნაწილს ისაკუთრებს დღემდის ისევ ბატონათ დარჩენილი თავად-აზნაურობა და უმეტეს შემთხვევაში ისევ საზღვარგარეთ ხარჯავს. ნაწილი კი რუსეთის კაპიტალისტის ჯიბეში რჩება, რომელიც დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების გამგე-მოურავებს უფრო გავს, ვინემ რუსეთის დამოუკიდებელ მწარმოებელს.

ამ რიგათ რუსეთის ერის ორგანიზმი განიცდის, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, თავისებურ სოციალ-პოლიტიკურ ანემიას. ზოგიერთი მისი ელემენტები ერის ორგანიზმისათვის საჭირო ფუნქციებს ვეღარ ასრულებენ, თუმცა სისხლის—ხალხის ნაშრომს—ძალზე იზიდავენ თავისკენ. ასეთი მდგომარეობა თანდათან ასუსტებს როგორც ერს, ისე ინდივიდს და ბოლოს კლავს. რა თქმა უნდა, შიგნივ დაზაბაკებული, დასუსტებული სხეული გარეგან მტერს ვეღარ გამკლავებია, თუნდა დამოუკიდებელიც იყოს ის. და თუ ექიმს სურს, რომ სხეული ჯანსაღი და ღონიერი იყოს, მან უპირველესათ ყოვლისა დაზაბაკებული სხეული უნდა გასინჯოს და სწორი დიაგნოზი გვიჩვენოს, შემდეგ შეუბრალებლათ ანატომიური დანით მოჰკვეთოს ის ნაწილი, რომელიც ჩინეთ თუ არა, იმ წამსვე უნდა განდევნოთ ორგანიზმიდან. ექიმი, რომელიც ლამის პარაზიტის განუძევებლათ აღადგინოს ორგანიზმის ძალ-ღონე, ასეთი ექიმი პარაზიტის კეთილდღეობას სწირავს ავათმყოფის ჯანსაღობას და სიცოცხლეს.

ვისაც სურს, რომ ერის ორგანიზმი საღი, ძლიერი, ამტანი, სიცოცხლით სავსე იყოს, ვისაც უნდა, რომ ერის ცხოვრება სდუღდეს და გადმოდიოდეს, ვინც მოწადინებულია, რომ ერის შემოქმედებითი ნიჭი გადაიშალოს, მან უპირველესათ ყოვლისა ხელი უნდა შეუწყოს, რათა ერის ორგანიზმი განთავისუფლდეს უვარგისი, დამპალ-დაუმპალ, დაჩირქებულ-დაბალღებულ ელემენტებისაგან და მის უსაღეს და უსაჭიროეს ორგანოს—მშრომელ ხალხს—საშვალება მიეცეს საწარმოვო ძალა განავითაროს და თავისი შრომის ნამყოფის გამგე თვითონ ეს ხალხი გახდეს. ჩვენი ცხოვრების მიხედვით რომ ვსთქვათ, საჭიროა გზა და გასავალი მიეცეს დღევანდელ წოდებრივ წინააღმდეგობას, რომლის მოჯადოებულ წრეშიაც ასე უსასოოთ და უიმედოთ ტრიალებს დღეს რუსეთის ხალხი და მასთან ერთათ ქართველი და სხვა წვრილი ერები.

მაგრამ აბა ერთი გვიბრძანეთ საიდან და რა საწარმოო ძალა უნდა განვითარებულიყო პაწაწა საქართველოში, როცა ერთ მუჭა ქართველ მშრომელ ხალხს სულ რაოდენიმე ათი წლის განმავლობაში ჩვენებურმა კურთხეულმა თავად-აზნაურობამ ორას მილიონობით აატყავა ზურგზე და ჰარალე-ჰარი-ჰარალეს ყეინში გაფლანგა ეს მილიონები; რაღა სიცოცხლის ინსტინქტი და ბრძოლის უნარი უნდა შერჩენოდა ქართველი ერის ორგანიზმს, როცა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ორი უსაშინელესი პარაზიტი—ერთი შინაური და მეორე გარეული სწუწნიდა მის ნაშრომს?

იმავე ჟურნალ „ერის“ მეთაურში წერილის ავტორი აღნიშნავს რა, რომ „ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაში ამ ბოლოს დროსაც თავად-აზნაურობა დიდ როლს თამაშობდა, რომ უმეტესი ნაწილი საქართველოს ტერიტორიისა ან სახელმწიფომ დაისაკუთრა, ან თავად-აზნაურობამ

ეკუთვნოდა,“ დიდი უკმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბრწყინვალე წოდებამ თვისი საკუთრება მამულები გაყიდა და ფულები გაფლანგა.

დიახ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მარტო მიწები გაყიდა და გაფლანგა განა? აბა გვიბრძანეთ: სად არის დღეს ნაყოფი ჩვენებური მშრომელის ხალხის შრომის? ვინ წაიღო, რას მოხმარდა ეს წყარო ერის არსებობისა, ცხოვრების რომელ კულტურულ მხარეს მოხმარდა იგი: მუსიკა აღორძინდა და აყვავდა ამ ნაყოფის წყალობით, სკულპტურა განვითარდა ჩვენებური, მხატვრობა აყვავდა მეცნიერება თუ რა? აბა გვიბრძანეთ! არა, ჩვენმა თავად-აზნაურობამ მარტო მიწები კი არ გაფლანგა და ტერიტორია კი არ დაქსაქსა: მან გააბნია ვერაგულად მთელი სიმდიდრე, რომელიც შექმნა არა მარტო მეცხრამეტე, არამედ მთელი საუკუნოების განმავლობაში ქართველმა მშრომელმა ხალხმა! ამიტომაც ნებსით თუ უნებლიეთ, სულ ერთია, სცოდავს ხალხის წინაშე ვინც მარტო იმაზე გვითითებს, რომ ჩვენმა თავად-აზნაურობამ მიწები გაფლანგაო.

**კ. ჩხეიძე.**

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1—2 ოქტომბერი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** მოვიდა ადერბილის ყოფილი გუბერნატორი პაშიდ-ულ-მულკი. ცნობა მოვიდა, რომ შახსევანებმა და კარაჯებმა ადერბილს ალყა შემოარტყეს. სათარხანი გამაგრდა ადერბილის ციხეში, მრავალი ფიდაები გაექცენ და თან წაიღეს ნაძარცვი საქონელი. ისინი ხმებს ავრცელებენ, რომ ადერბილის აღების შემდეგ შახსევანები და კარაჯები თეირანისკენ წავლენ და თითქო, ზონდჟანში მათ მოლა კურბან-ალი შეუერთდება.

**თავრიზი.** კარადაღის მმართველ რახიმ-ხანის დასახმარებლათ, რომელიც ეხნესმეიანოვი.

ბაგირ-ხანმა თავის ფიდაებით რახიმ-ხანის შიშით უარი სთქვა მის წინააღმდეგ გალაშქრებაზე. მათ მიბაძეს სარბაზებმა, მიზეზათ ჯამაგირის მიუღებლობა დაიხვიეს ხელზე. სოუჯ-ბულახში საქმეების გასარჩევათ საელჩომ გაგზავნა ბელიაევი 12 კაზაკის თანხლებით. მასთან ერთათ წავიდა შაჰის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელე.

### საზღვარ-გარეთ.

**პერპინიანი.** ესპანიის მთავრობა სასტიკ ცენზურას ხმარობს არავითარი ცნობა არ დაბეჭდონ ფერრერის საქმის შესახებ. მიუხედავათ ამისა აქ ცნობა მოვიდა, რომ ის მონჟუნხის ციხეში გადაიყვანეს. მისი დამცველის დაჭერა ოფიციალურათ ჯერ არ მტკიცდება.

**ნიუ-იორკი.** პირი და მისი სამი თეთრკანიანი მხლებელი იტყობინებიან რაც გაიგეს კუკის ესკიმოსებიდან. მათი სიტყვით ესკიმოსებმა განაცხადეს, რომ გეიბერგის კუნძულიდან ჩრდილოეთისკენ მხოლოდ ორი დღე იმოგზაურეს. იქ თხელ ყინულს და წყალს შეხვდენ და უკან დაბრუნდენ. მათი სიტყვით მთელი დრო სამხრეთისკენ მოგზაურობას მოანდომეს.

**პარიჟი.** გავას დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან ახილი სესხის შესახებ შეთანხმებაზე. დღეს ხელს მოაწერენ სესხის პირობას.

**ლონდონი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტრის თანაშემწე მასტერგენმა კენგზინგტონში სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც განაცხადა, რომ როგორათაც არ უნდა შევხდეს ლორდთა პალატა ბიუჯეტს მაინც დაამტკიცებენო.

გაზეთები გაცხარებით არჩევენ ბალფურის, ლორდ ლენსდოუნის და ასკვიტის მეფესთან თათბირს. გაზეთები ფიქრობენ, რომ თათბირის ინიციატივა ასკვიტის საქმე იყო. კონსერვატიული გაზეთები საყვედურს აცხადებენ ასკვიტის მოქმედების შესახებ. გაზეთები ფიქრობენ, რომ აუდიენცია ვერ შესცვლის საქმის მდგომარეობას. თუ მთავრობამ არ დაუთმო, ლორდებმა უნდა უარყონ ბიუჯეტი. ლიბერალური გაზეთები ფიქრობენ, რომ მეფე ხელს შეუწყობს ორი პარტიის შეთანხმებას, რომლებიც რევოლიუციის შესახებ ამბობენ. „დეილი-ნიუსი“-ს სიტყვით, საშიშოა, რომ ლიბერალები კომპრომისზე წავლენ, მაგრამ ასკვიტი ერთი ბიჯითაც არ დაიხევს თავის პოზიციიდან. გაზეთების სიტყვით მეფემ წერილობითი აღუთქვა, რომ თუ საჭირო იქნა ლიბერალურ პირებს მოიწვევს და მით თავიდან აიცილებენ კრიზისს.

**რომი.** გუშინ ქუჩაში მოხდა დიდი მიტინგი ფერერის დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ. მრავალმა მუშამ მუშაობა აღკვეთა, ქალაქში მოძრაობა შესწყდა. მილანში, ტურინში, მესინაში და სხვაგან მოხდა მრავალრიცხოვანი მიტინგები ფერერისთვის თანაგრძნობის გამოსაცხადებლათ. დეპუტატთა პალატაში ბარზილაიმ შეკითხვა შეიტანა ჩაერევა თუ არა იტალია არ დაისაჯოს უდანაშაულო ადამიანი.

**მადრიდი.** დამტკიცდა, რომ მინისტრთა საბჭომ უარყო ფერერის პატიების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა. შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ფერერი ციხეში გადაიყვანეს და დილის ექვს საათზე დასჯიან სიკვდილითო.

**ბარცელონა.** დილის ცხრა საათზე ფერერი დახვრიტეს.

**სტოკჰოლმი.** გაბმარის და შეგოლმის მოკვლის განზრახვაში ეჭვი მიიტანეს ლონდონში ლაბორატორიის პატრონ ინჟენერ ეკენბერგზე. ორივე მისი კონკურენტი იყო.

**რომი.** პაპმა აუდენციაზე მიიღო ახლად დანიშნული მინისტრ-პრეზიდენტი ბულაპოლი, რომელმაც რწმუნების ღრამოტები ჩააბარა.

**რომი.** სხვადასხვა ქალაქებიდან ცნობები მოვიდა, რომ ფერერის დახვრეტის გამო საპროტესტო მიტინგები გაიმართა. ტურინში პროტესტის ნიშნათ მუშები გაიფიცენ. მიტინგის გათავების შემდეგ ერთი ჯგუფი შეეცადა გაეჩერებიათ ქალაქის რკინის გზის ვაგონი. პოლიცია წინააღუდგა, წინა დღით გენუის მუნიციპალიტეტის საბჭომ თხოვნით მიმართა ესპანიის მინისტრ-პრეზიდენტს და სთხოვა ფერერის პატიება. გენუის მუშათა პალატამ დაადგინა ერთი დღით გაფიცვა. მუშაობა შესწყდა, შესწყდა აგრეთვე მოძრაობა. ნეაპოლის უნივერსიტეტში შეიკრიბენ სტუდენტები და დაადგინეს პროტესტი განუცხადონ ესპანიის ელჩს, მაგრამ მთავრობამ ნება არ მისცა.

**პარიჟი.** ფერერის დასჯის წინააღმდეგ მანიფესტაციის დროს ბევრი მათგანი დასჭრა მუნიციპალიტეტის გვარდიამ. რევოლვერით სახეში დასჭრეს გვარდიის აფიცერი. ჟორესმა, რომელიც თავის გაზეთის რედაქტორებით და აუარებელი ხალხით და „ინტერნაციონალის“ სიმღერით ქუჩაში მიდიოდა, ხელჩართული ბრძოლა გამართა პოლიციელებთან. ესპანიის საელჩოს ახლოს რევოლვერით მოკლეს პოლიციელი, დასჭრეს მეორე პოლიციელი და მუნიციპალიტეტის გვარდიელი. მანიფესტანტებმა დასწვეს ორი ომნიბუსი. დაიჭირეს მანიფესტანტი, რომელმაც პირველათ ესროლა რევოლვერი პოლიციელს, დაჭერილმა თავის თავს ესპანელი დელატორრი უწოდა. დაიჭირეს მეორე მანიფესტანტი, რომელმაც პოლიციელებს ესროლა. დაჭრილი პოლიციელი საავათმყოფოში გარდაიცვალა. რამდენჯერმე ესროლეს პოლიციის პრეფექტს, მაგრამ ის უვნებლათ გადარჩა. დელატორრე ცნობილი ესპანელი ანარქისტი აღმოჩნდა. მინისტრ-პრეზიდენტ ბრიანს მოახსენა პოლიციის პრეფექტმა, რომ ესპანეთის საელჩოს ახლოს უწესოება აპაშებმა მოახდინეს. ისინი სჭრიდენ ფარნის ბოძებს და სწვავდენ ომნიბუსებს. წესიერება აღდგენილ იქნა. დაიჭირეს 50 კაცი.

**გეტტერბერგი.** დირექტორმა შეგოლმა ლონდონიდან ინჟინერ ეკკენბერგის დეპეშა მიიღო, რომლითაც ის უარყოფს შეგოლმის და გამბარის მოკვლის განზრახველი თითქოს ის ყოფილიყოს.

**ბელგრადი.** მეფემ მიიღო სამხედრო მინისტრის ჟივკოვიჩის სამსახურიდან გადადგომა. დროებით მისი თანამდებობა მიანდო კულტის მინისტრს.

**ლიკორნო.** ფერერის დახვრეტის გამო მუშათა წარმომადგენლების კავშირთა კრებამ გადასწყვიტა ესპანიის საქონელს ბოიკოტი გაუკეთოს და საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდეს. კრების შემდეგ მოხდა მანიფესტაცია. დაიჭირეს რამდენიმე კაცი.

**რომი.** ფერერის დახვრეტის გამო გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. ტრამვაის მოსამსახურენი, მეეტლენი და სხვა მუშები უკვე გაიფიცენ. მაღაზიების უმრავლესობა დაიკეტა. მუშათა პალატა მოუწოდებს მუშებს ესპანიის გემებს ბოიკოტი გამოუცხადონ.

### რუსეთი

**ოდესა.** ნოვოროსიისკის უნივერსიტეტიდან სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებათ აირჩიეს პროფესორი ლევაშოვი, ალმაზოვი და კლიმენკო.

**სმოლენსკი.** დუხოვშჩინსკის მაზრაში 15 კაცი მოიწამლა რაღაც საწამლავით, რომელიც პურში ურევია.

**ოდესა.** სამოქო სასამართლომ განიხილა 1905 წელს ს. ვარვაროვკაში მომხდარ ებრაელთა დაწიოკების საქმე და ყველა 13 დამნაშავე გაამართლა.

**ვალკი.** ს. კოვიაგაში თავს დაესხენ პოპედნუსის სახლს. ის სასიკვდილოთ დასჭრეს, მისი ცოლი მძიმეთ, გაიტაცეს 2000 მანათი და გაიქცენ.

**პეტერბურგი.** დილით ვიბორგის მხრისკენ პარგოლოვის ქუჩაზე ტელეფონის ქარხნის მუშის ბინაზე რაღაცამ საშინლათ იფეთქა. გამოირკვა, რომ აფეთქდა ყუმბარა გატენის დროს. დაჭრილი მუშა, რომელიც ყუმბარას ამზადებდა, პოლიციის მისვლის დროს გაიქცა, მაგრამ დაიჭირეს. მისი ამხანაგი მიიმალა.

**ვარშავა** უნივერსიტეტიდან სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლათ აირჩიეს პროფესორი კუდრევეცკი, მიტროფანოვი და ლიუბოვიჩი.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა ძმებ სინადინოების საკასაციო საჩივარი, რომლებსაც ოდესის სამოსამართლო პალატამ უარი უთხრა მისი ბიძის მიერ საბერძნეთის სამეფოსთვის ნაანდერძევ მილიონ მანეთის მემკვიდრეობაზე. სენატმა დაამტკიცა პალატის განაჩენი.

**მოსკოვი.** ბაქოს ნავთის მრეწველ შაბასი ასადულლაევს ბინიდან მოპარეს [illegible] ნი ქაღალდები.

**რეველი.** თავად-აზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებათ აირჩია კლეინე, როდე, ბრონი დელლინგაუზენი და მაიდელი.

**რიგა.** 27 სექტემბერს ზასენგოვსკის დამხმარე საზოგადოებაში აღმოაჩინეს ს.-დემოკრატების კრება. წაიღეს საბუთის ქაღალდები, რომლებითაც მტკიცდება, რომ კრებაზე დაჭერილი 20 კაცი ლატიშების ს-დემოკრატიულ პარტიის მეთაურნი არიან. ამის გამო ქალაქში დიდი ჩხრეკა მოხდა, რამაც პოლიციას ბევრი მასალა მისცა ხელში.

**ვალკი.** ხარკოვის საერობო კრებამ გადასწყვიტა მოუსავლობის დროს მცხოვრებთა დახმარების საქმე ერობას გარდაეცეს.

**ზენკოვი.** მშვენიერი, თბილი დღეები სდგას. მინდვრები [illegible]. ზოგიერთი ხეხილები ყვავის.

**ლივადია.** ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა ხერსონის სოფლის თავად-აზნაურთა დეპუტაცია.

**მოსკოვი.** დღის პირველ საათზე ფონდის ბირჟაზე მივიდა ფინანსთა მინისტრი. მოხდა ბირჟის საზოგადოების არჩეული პირების კრება. ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე კრესტოვნიკოვმა მიმართა ფინანსთა მინისტრს მისალმების სიტყვით, რომელშიაც სხვათა შორის სთქვა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის მოქმედებას მჭიდრო კავშირი აქვს იმ დაწესებულებასთან, რომელიც ქვეყნის ფინანსებს ხელმძღვანელობას უწევს, რომ ამ უწყების დახმარებით შესაძლოა ქვეყნის ეკონომიურათ წინსვლა. მისი მოღვაწეობის აშკარა დამამტკიცებულია ის, რომ რუსეთის ფინანსიური მდგომარეობა ფეხზე დადგა. დასასრულ კრესტოვნიკოვმა მოსკოვის ბირჟის კომიტეტის სახელით ულრმესი მადლობა გამოუცხადა მინისტრს. საპასუხო სიტყვაში ფინანსთა მინისტრმა სთქვა, რომ ის ძეორეჯერ ესწრება ბირჟის საზოგადოების კრებას და ორივეჯერ სხვადასხვა პირობებში. მას წინათ ხვდა მისი უდიდებულესობის ნებით გასძღოლოდა ფინანსებს, როგორც ომის და არეულობის დროს, ის ისეთ დროს, როცა რუსეთი უბრუნდება მშვიდობიან ცხოვრებას. მძიმე იყო განვლილი გზა, მრავალ დაბრკოლებებს შევხვდით და ამიტომ საჭირო იყო მეტი ენერგიის დახარჯვა, რომ ფეხზე დაგვეყენებია ქვეყნის ფინანსები. სამი წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადადგა რუსეთის სახელმწიფო კრედიტმა. ქვემოთ მან აღნიშნა, თუ როგორ იმატა უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო შემოსავალმა: ის სჭარბობს გასვლას 25,800,000 მანეთით. შემდეგ ის შეეხო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის საკითხს და სთქვა, რომ ის რუსეთის გზაა და რუსეთის ინტერესებს უნდა ემსახუროს. ამაზეა დამყარებული მთავრობის მთელი პოლიტიკა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ.

საღამოს შვიდ საათზე ბირჟის თავმჯდომარეს გაუმართეს სადილი, რომელზედაც ფინანსთა მინისტრი და სხვებიც დაესწრენ.

**ბათომი.** კავკასიაში ხოლერის გაჩენის გამო ოსმალეთის ნავთსადგურში კარანტინი დააწესეს.

**იაროსლ ვლი.** საერობო კრებამ საჭიროთ სცნო მცხოვრებთა საგრონომიო დახმარების საქმე ერობათა აგრონომებს გადაეცეს.

**ოდესა.** გრადონაჩალნიკმა განსაკუთ-

# ერობა კავკასიაში

## II

ეხლა გადავიდეთ კითხვაზე—საერობო თვითმართველობის რომელი ტიპია სასურველი კავკასიისათვის? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ საჭიროა ჯერ გავითვალისწინოთ თვითმართველობითი ერთეულების სხემა, შემდეგ ამ ერთეულების კომპეტენცია და დაბოლოს, წარმომადგენლობითი სისტემა საერობო თვითმართველობის ორგანოებში.

რაც შეეხება საერობო ერთეულთა სხემას, ამ საკითხს საზოგადოთ რიგიანათ სწყვეტს ნამესტნიკის პროექტი. ჯერ უნდა მოეწყოს ეგრეთ წოდებული სოფლის მმართველობა (поселковое управленіе) ნამდვილი თვითმართველობის წესით. თვითოეული სოფელი, თუ კი ის საკმაოთ დიდია, უნდა სარგებლობდეს თვითმართველობის კეთილ ღირსებებით და მისივე ძალებით უნდა დაიკმაყოფილოს საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი; წვრილ-წვრილი სოფლები უნდა შეერთდენ და ისე მოაწყონ თვითმართველობის საქმე. ლაპარაკიც მეტია იმაზე, რომ ქალაქის თვითმართველობაც უნდა შეიცვალოს და დემოკრატიულათ მოეწყოს. მაგრამ საერობო ერთეულათ სოფლის ან ქალაქის თვითმართველობა როდი უნდა ჩაითვალოს, არამედ საუბნო ერობა (участковое земство), ანუ წვრილი საერობო ერთეული (м. з. ед-ца). ნამესტნიკის პროექტის თანახმათ საუბნო ერობა უნდა შესდგეს დაახლოვებით 2 აწ არსებულ „ვოლოსტისაგან“; ეს წვრილმანია და ამ ხელათ ამაზე არას ვიტყვით. საჭიროა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ წვრილ საერობო ერთეულების შემოღებისთანავე „ვოლოსტის“ მმართველობა უნდა გაუქმდეს. მესამე საერობო ერთეულათ უნდა ჩაითვალოს სამაზრო ერობა (уѣздное з.), ხოლო თვით მაზრა, თანახმათ ნამესტნიკის პროექტისა აწინდელზე უფრო უნდა გაფართოვდეს, ასე რომ, 250—350 ათასი მცხოვრები დაიტიოს. ამის წინააღმდეგ არაფერი გვაქვს სათქმელი.

ზემოთ ჩამოთვლილი საერობო ერთეულები—სასოფლო, საუბნო და სამაზრო ერობა—თითქოს არავის მხრით არ იწვევს კამათს და უკმაყოფილებას. სულ სხვა საქმეა უფრო მსხვილი ერთეულები. ნამესტნიკის პროექტს აზრათა აქვს სამხრო ერობა („краевое земство“) შემოიღოს, რაც ჩვენც წესიერათ მიგვაჩნია, მაგრამ კავკასიის მცხოვრებთა შორის არსებობს ერთი მიმდინარეობა, რომელიც წინააღმდეგია სამხრო ერობისა და არჩევს საგუბერნიო ერობის მოწყობას. მაგ. ამ აზრს დაადგა ამ ჟამათ ბათუმის თათბირი (совѣщаніе) და თფილისის თათბირის მეორე სექცია. ამიტომ საჭიროა ცოტა უფრო დაწვრილებით გავარკვიოთ ეს საკითხი მით უმეტეს, რომ იგი ეხება მეორე საკამათო საკითხს, სახელდობრ, ხაკითხს კავკასიის ავტონომიის შესახებ.

სამხრო (краевое) ერობის წინააღმდეგ ორი არსებით მოსაზრება მოჰყავთ: 1) ეშინიათ ხარჯის გადიდების, უმთავრესათ კი იმისი, რომ ერთმა ადგილმა არ დაჯაბნოს მეორე ფინანსიურათ. 2) ასახელებენ სეპარატიზმს, რომელიც ვითომდა უთუოთ აყვავდება, თუ რომ სამხრო ერობა იქნა შემოღებული.

პირველ მოსაზრებას ძალიან ცოტა რეალური საფუძველი აქვს, რადგან მაზრების ერთმანერთ შორის დავა გადასახადების განაწილების შესახებ არა ნაკლებ ადგილს დაიჭერს მაშინაც კი, თუნდაც შემოღებულ იქნას საგუბერნიო ერობაც და ამას ნათლად ამტკიცებს ცენტრალური რუსეთის საერობო პრაქტიკა. გარდა ამისა, სრულიად არ არის დამტკიცებული, რომ სამხრო ერობა უფრო ძვირათ დაუჯდეს მცხოვრებთ, ვინემ 10 საგუბერნიო ერობა (ამიერკავკასიაში). პირიქით, ყოველივე იმას ამტკიცებს, რომ 10 საგუბერნიო ერობას 1 სამხრო—სჯობია. ერთი რომ, საერობო დაწესებულებათა პრაქტიკამ დაგვანახა, რომ საერობო მოღვაწეობის განვითარება (დაზღვევის საქმე, ეკონომიური ზომა-საშუალებანი და სხვ. და სხვ.) მიილტვის და უფრო ადიდებს მსხვილ საერობო ერთეულების მნიშვნელობას და ფასს. საგუბერნიო ერობა, ძალიან ხშირათ, მეტათ ვიწრო სარბიელია სხვადასხვა სამეურნეო ოპერაციების განვითარებისთვის, და აი, წინააღმდეგ კანონისა, ერობანი, ამ უკანასკნელ დროს ცდილობენ ერთმანერთ შორის შეთანხმდენ (Общеземская продовольств. организація, областныя переселенческія орг—ціи, перестраховой союзъ, союзы для закупки с.-хоз. орудій и кровельнаго желѣза და სხვ.). სწორეთ ამ ნაირი კავშირების და შეთანხმების მომხრეა საგუბერნიო ერობათა შორის ბათუმის საბჭო, ნაცვლად სამხრო ერობისა. მაგრამ ეგ, რა თქმა უნდა, კითხვას არ სჭრის და რომც სჭრიდეს, ეკონომია მაინც აქ არაფერ შუაშია. კავკასიის შესახებ კიდევ უფრო მოუხერხებელია ასეთ ნაირათ კითხვის დაყენება. ერობას პირველითაგანვე დასჭირდება ისეთი საქმეების დაწყება, რომელთა მორიგება სამხრო ერობისთვის იქნება უფრო მოსახერხებელიც და იაფიც. მაგალ., საჭირო უნივერსიტეტის დაარსება ან და საჭიროა გამოიცეს სრულიად კავკასიის ერობის ორგანო, რამდენიმე დიდი ლაბორატორიის დარსება, საჭიროა მთელი მხრისთვის წყლის და გადასახლების საქმის მოწყობა, აგრეთვე სასურსათო დაზღვევის და სხვა საქმეები. ერთი სიტყვით, ბევრი რამ არის საჭირო და ყველა ამის გაკეთება შეუძლია სწორეთ ისეთ მსხვილ კავშირს, როგორიც არის სამხრო (краевое) ერობა.

ამგვარათ, ფინანსიურ-ეკონომიური და საზოგადოთ, სამეურნეო საბუთები სრულიათ არაფერს ამტკიცებენ იმის წინააღმდეგ, რომ 10 საგუბერნიო ერობა შეცვლილ იქნას ერთ სამხრო ერობათ. არა ნაკლებ უსაფუძვლოა ის პოლიტიკური მოტივები, რომლებიც მეორე ბანაკიდან მოყავთ სამხრო ერობის წინააღმდეგ, სახელდობრ, „სეპარატიზმის“ შიში. ჩვენ შეგვიძლია სავსებით დავეთანხმოთ იმ აზრს, რომელიც მოყავს ნამესტნიკს თავის უქვეშევრდომილეს წერილში 1907 წელს, რომ კავკასიაში „სეპარატისტულ მისწრაფებას არავითარი ნიადაგი არა აქვს“. ის მხოლოდ ერთათ ერთი იარაღია „ცნობილი წრის“ ხელში, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება კავკასიაში ყოველივე კულტურულ საქმის დაწყებას, როგორიცაა მაგალითათ უმაღლეს სასწავლებლის დაარსება, ერობის შემოღება და სხვა.

ამგვარათ, „სამხრო ერობა“ (краевое земство) საჭიროა. მაგრამ ეხლა იბადება კითხვა: როგორი უნდა იყოს მისი კომპეტენციის საზღვრები? თვითმართველობის ორგანო იქნება ის თუ „ავტონომიის“? ამ კითხვის შესახებ მრავალი სხვა და სხვა, ერთი მეორის ძნელად შესათანხმებელი შეხედულებანი არსებობს, რომელიც უმეტესათ დამყარებულია საქმის არსებითი მხრის არა საკმაო გაცნობაზე, ანდა სადაო კითხვების არა სისწორით განსხვავებაზე. მაშასადამე, რა არის ახლა საჭირო კავკასიისთვის: თვითმმართველი თუ „ავტონომიური“ სამხრო (краевое) ერობა?

ჯერ, სანამ კითხვებზე პასუხს მივცემდეთ საჭიროა შევთანხმდეთ მცნებების შესახებ:—რა არის თვითმართველობა და რა არის ავტონომია. „თვითმართველობა“, როგორც ვიცით, არის საზოგადოებრივ საქმეთა ისე შესრულება, რომე-

რებული მოწოდებით აცნობა მცხოვრებთ, რომ ახლო მომავალში ქალაქში გაივლის ხელმწიფე. აცნობებს რა ამ ფრიად სასიხარულო ამბავს, გრადონაჩალნიკი მოუწოდებს მათ მოემზადონ სათაყვანო მონარქის ღირსეულად დასახვედრათ.

**პეტერბურგი.** ყაზანში გაძლიერებულ დაცვის წესები გაგრძელებულ იქნა 1910 წლის 4 სექტემბრამდე.

**კიევი.** უნივერსიტეტიდან სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად აირჩიეს პროფესორი რიეფორმატირსკი.

**ბაქო.** 1905 წელს თათარ-სომეხთა შეტაკების დროს უმოქმედობის გამო ბაქოს და ბალახანა-საბუნჩის პოლიცმეისტერებს ლავინსკის და კომიტსკის სამოსამართლო პალატამ გადაუწყვიტა ერთი წლის და ოთხი თვის ციხე, ზოგიერთი უფლებების ჩამორთმევით. ბოქაულებს: მანსბეკოვს, ბოროდინს, თავ. ნიჟარაძეს და პოდგორნის (გარდაიცვალა) რვა თვის ციხე ღირსება-უფლების ჩამოურთმევლათ.

**გროზნი.** 30 სექტემბერს მძარცველთა ბრბომ აფიცრის ტანისამოსით გამოწყობილ ბელადით მოინდომა ნავთის მრეწველ მაქსიმოვის გატაცება. გამვლელმა ფერშალმა სროლა ასტეხა და განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

**ლოძი.** ყაჩაღების დაჭერის დროს ზვრეეში მოკლეს ერთი სტრაჟნიკი და მეორე დასჭრეს.

**პოლტავა.** ნოზნესენჟარის ახლო დაიმტვრა მატარებელი. არავინ დაშავებულა.

**მინსკი.** საერობო კომიტეტმა ერთხმათ მიიღო პროექტი განახორციელონ 15 წლის განმავლობაში საყოველთაო სწავლის შემოღება.

**ორიოლი.** სამაზრო ერობის კრებამ დაადგინა შემოიღონ მაზრაში საყოველთაო სწავლა, რისთვისაც გაიხსნას 142 სკოლა.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 28, მოკვდა 15, ავათ არის 349.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 22, მოკვდა 10, ავათ ავათ არის 341.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**ალბანიის მდგომარეობა.** ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია რა შედეგები მოჰყვება ჯევად-ფაშას ექსპედიციის მოქმედებას. იციან მხოლოდ, რომ ჯევად-ფაშა უსკიუბში დაბრუნდა და ოსმალეთის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა ალბანელებთან იმ მიზნით, რომ მომავალი სამხედრო მოქმედება შესწყვიტოს.

**ადილ-ბეი პასუხისგებაში.** კონსტანტინოპოლში დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ ნამყოფის ადილ-ბეის საქმის გარჩევა. ადილ-ბეის ბრალს სდებენ ადანში მომხდარ აწიოკების მოწყობაში.

**საბერძნეთის პალატა და აფიცრები.** საბერძნეთში ამ ჟამათ 2,000 აფიცერი ირიცხება სამხედრო სამსახურში. აქედან 85 % ეკუთნის აფიცერთა კავშირს. კავშირს დიდ ძალი ფული აქვს.

ახლათ გახსნილ პალატას ოფ. კავშირმა თავისი მოთხოვნილებანი წარუდგინა. მოთხოვნილებაში აღნიშნულია ყველა საჭირო რეფორმები რომლებიც დაუყონებლივ უნდა იქნენ ჯარში შემოღებული. „ბერლ. ტაგებლატის“ კორესპონდენტის სიტყვით ყველა დასახელებულ რეფორმათა განხორციელება ძალიან დიდ შრომას მოითხოვს. აფიცრები არაფრის დათმობას არ აპირებენ, ისინი დაბეჯითებით მოითხოვენ მთელი მათი პროგრამა სავსებით იქნეს განხორციელებული.

### სპარსეთი.

**რუს. ჯარის ერთი ნაწილის გამოყვანა სპარსეთიდან.** რუსეთი ჯარის ერთი ნაწილის გამოყვანაზე თავრიზიდან მთავრობა მხოლოდ მაშინ დათანხმდა, როდესაც სპარსეთის მთავრობისაგან ოფიციალური გარანტიები მიიღო, რომ ჩრდილოეთ სპარსეთში მცხოვრებ რუსთა ინტერესებს არავითარი საფრთხე არ მოელისო.

**სპარსეთის დროებით მმართველი (რეგენტი).** სპარსეთის დროებით მმართველის (რეგენტის) თანამდებობაზე აზრათ აქვთ ნასრულმულკი დანიშნონ.

### რუსეთი.

**მღვდლის დასჯა.** ქვედა-ტურინის ქარხნის მღვდელმა მ. ბოგეცკიმ უარი სთქვა, ბარიშნიკოვის სიკვდილით დასჯას დასწრებოდა. ბოგეცკის ეპისკ. ვლადიმერმა მღვდელ-მოქმედება აუკრძალა და ორი თვით მონასტერში გაგზავნა.

**არჩევნების წინ ადესაში.** ადესაში არჩევნების წინა დღით ჭეშ. რუს. კავშირმა ფურცლები გაავრცელა. ფურცლებში კავშირის თავმჯდომარე პელიკანი ებრაელებს „კეთილ“ რჩევას აძლევდა, დეპუტატის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღოთო. თუ ასე მოიქცევით — დასძენდა პელიკანი — ამით თქვენ უარს იტყვით რუსეთის პოლიტიკურ საქმეებში ჩარევაზე, რასაც თქვენთვის ზარალის მეტი არაფერი მოაქვსო.

**ახალი ცირკულიარი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კურლოვმა ახალი ცირკულიარი გამოსცა. ამ ცირკულიარის ძალით პოლიციას ევალება სასტიკათ ადევნოს თვალ-ყური დირიჟაბლების ჰაერში მიმოსვლას, აგრეთვე შეადგინოს სია ყველა ჰაერო-კლუბებისა და მათი წევრების მოქმედების ანგარიში წარუდგინოს სათანადო მთავრობას.

**პურიშკევიჩი დუბროვინის შესახებ.** პურიშკევიჩს პეტერბურგში განუცხადებია დუბროვინი ფინლიანდიის სასამართლოში არავითარ შემთხვევაში არ წავაო. რაც შეეხება დაჭერის მუქარას, ჩვენ ამის შიში არ გვაქვსო, უთქვამს პურიშკევიჩს, ვინაიდან დუბროვინი გენერალ დუმბაძის მფარველობის ქვეშ იმყოფებაო.

**ექს-შახი ადესაში.** ექს-შახი მოსვლის მეორე დღეს ინახულეს: გენ. კაულბარსმა, გენ. ტოლმაჩევმა მეუღლით და ადესის პოლიცმეისტერმა კუბლიცკიმ. შახს ევროპიული ტანისამოსი აცვია, ხშირათ სეირნობს ავტომობილზე და ქალაქს ეცნობა. დაწოლის წინ კარის ექიმი შახს მასაჟს უკეთებს, მის მეუღლეს კი ზღაპრებით აძინებენ. შახს იმედი არა აქვს სპარსეთში დაბრუნების, სადაც მისი აზრით კიდევ დიდი ამბებია მოსალოდნელი.

**საქართველოს ეგზარხოსის მოკვლის საქმე.** „რეჩის“ კორესპონდენტს ამას წინათ მ. ვოსტორგოვთან ჰქონია ლაპარაკი. კორესპოდენტს უკითხავს, ნიკონის მოკვლის საქმე მართლა მოსპესო? ვოსტორგოვს ამაზე დაბეჯითებითი პასუხი მიუცია და დაუმატებია, რომ კავკასიის მთავარმართებელი კარგათ მოიქცა, საქმე რომ მოსასპობათ წარადგინაო. სინოდს საკუთარი გამოძიების მასალაც კი აქვს ამ საქმის შესახებ, მაგრამ მას არ გამოაქვეყნებს, ვინაიდან ქართველები იმას ამტკიცებენ, რომ ეგზარხოსი პროვოკატორებისგან არის მოკლულიო. უმჯობესია ეს სამარცხვინო ისტორია გამოქვეყნებული არ იყოსო. „რეჩი“ სამართლიანათ შენიშნავს, რომ სინოდს სხვა რაღაც აწუხებს და არა ქართველების გამოქომაგება, როდესაც შეგროვილ მასალას არ აქვეყნებსო.

**არჩევნები სატახტო ქალაქებში.** პეტერბურგის, მოსკოვის და ადესის არჩევნებმა მთავრობის უმაღლეს წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს. უკიდურეს მემარჯვენეთა აზრით უკანასკნელი არჩევნები ნათლათ აღნიშნავენ რევოლიუციონური მოძრაობის გამოცოცხლებას. მათი აზრით საჭიროა „დამშვიდების“ ტაქტიკა გაგრძელებულ იქნეს.

### საზღვარ-გარეთ

**პეტიცია ფერერის შესახებ.** ისპ. მინისტრ მაურას სახელზე პეტიცია გაიგზავნა. ამ პეტიციით მინისტრს სთხოვენ ფერერის საქმე სამხედრო სასამართლოში არ იქნეს გარჩეული. პეტიციაზე ხელი უწერიათ სორბონის გამოჩენილ პროფესორებს. საფრანგეთის უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობაც ასეთსავე პეტიციას ადგენს. როგორც სააგენტოს დეპეშამ გადმოგვცა, ფერერი უკვე დახვრიტეს.

**ჩერჩილის აზრი ინგლისის ბიუჯეტზე.** სავაჭრო მინისტრმა ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ლორდთა პალატა ბიუჯეტს ვერ უარყოფს. ბიუჯეტის უარყოფა ლორდების მიერ კონსტიტუციაზე ძალდატანება იქნებოდა. მთავრობა კი ბიუჯეტში არავითარ ცვლილებას არ შეიტანს და არც ლორდთა პალატას დაუთმობს რამესო.

„რეჩ“-ს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ ასკვიტს მეფემ შემდეგი შესათანხმებელი წინადადება მისცა: ლორდები მიიღებენ ბიუჯეტს, თუ მთავრობა საერთო არჩევნებს იანვარში დანიშნავსო. ასკვიტმა ამ წინადადებაზე უარი სთქვა. მან განაცხადა, ლიბერალური პარტია არასოდეს არ დათანხმდება იმაზე, რომ ლორდებს პარლამენტის დათხოვის ვადის დანიშვნის უფლება მიენიჭოთო.

**გერმანიის პრესა რუს. მემარჯვენე დეპუტატების შესახებ.** «რ. ს.» ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ადგილობრივი პრესა ძალიან გულგრილათ შეხვდა რუს. მემარჯვენე დეპუტატების მიერ ბერლინის დათვალიერების სურვილსო.

# ახალი ამბები

**საქართველოს საეგზარხოსოს გაუქმება.** როგორც გაზ. „ბაკო“ იუწყება, უკვე გადაუწყვეტიათ გააუქმონ საქართველოს საეგზარხოსო. მის ნაცვლათ და არსებული იქნება 6 დამოუკიდებელი ეპარქია.

— **ბაქოში მომხდარ სომეხ-თათართა შეტაკების განხილვა** სამოსამართლო პალატამ უკვე დაამთავრა. ოთხშაბათს, 30 სექტემბერს სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბაქოსა და ბალახანის ყოფილი პოლიცმეისტერები დემინსკი და ხომიცკი, ბოქაულები: ნიჟარაძე, ბოროდინსკი და მამედ-ბეკოვი დამნაშავეთ იქნენ ცნობილი და მიესაჯათ დემინსკისა და ხომიცკის ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და 1 წ. და 4 თვის ციხე თითოეულს,—ხოლო ნიჟარაძეს, მამედ-ბეკოვს და ბოროდინს 8 თვის ციხე თითოეულს, ღირსება ჩამოურთმევლათ. ბოქაულის თანაშემწე სულთანოვი და უბნის ზედამხედველი შახტანტინსკი სასამართლომ გაამართლა.

— **ქ. შ. წ. კ. საზოგადოების გამგეობის მორიგი სხდომა** შესდგა ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს. სხდომას მოხსენდა კოლექტიური თხოვნა ნავთლუღელებისა, ნავთლუღში სკოლის გახსნის შესახებ. სხდომამ კამათის შემდეგ დაადგინა მიანდოს სასკოლო სექციას, რომ გამართოს მან მოლაპარაკება ნავთლუღელებთან სკოლის შესანახ წყაროს გამონახვის შესახებ. ამავე სხდომაზე გაირჩა შუამდგომლობა სოფ. გერგეთის (ხევში) მცხოვრებთა, რომლითაც ისინი ითხოვენ გაიხსნას სოფ. გერგეთში სოფლის სკოლა, დაადგინეს: 1 იანვრიდან იქ გახსნან სკოლა, რომლის საჭირო თანხა გადადებულ იქნა და შეიტანეს მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვაში.

— **ტუსაღის გაქცევა.** 25 სექტემბერს ზუგდიდის სატუსაღოში მყოფ ტუსაღ პლატონ მირცხულავს და ბერიას, რომელთაც ს. დიდინეში მაქაცარიაზ[illegible]... დასხმაში მონაწილეობის გამო 8 წლის კატორღა ქონდა მისჯილი, გაუტეხიათ ბორკილები, გაუჭრიათ ციხის ფანჯარა და მიმალულან. ადმინისტრაციის განკარგულებით დააპატიმრეს ციხის ზედამხედველი გალიჩავა, ერთი მოდარაჯე სალდათი და გაქცეულ მირცხულავის დედმამა.

— **მასალები საქართველოს ისტორიისათვის.** გერმანელ მეცნიერმა გუსსენმა წერილი გამოუგზავნა ადგილობრივ ზოგიერთ საზოგადო დაწესებულებებს და კერძო პირთ, რომელთაც სთხოვს მიაწოდონ მას ქართული ან რუსული გამოცემები, რაიც შეიცავენ მასალებს საქართველოს ისტორიისას. სხვათა შორის ითხოვს ე. თაყაიშვილის ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების „მანუსკრიპტებს“ და თ. ჟორდანიას „ისტორიული ქრონიკებს“.

— **ა. ვ. კოლცოვი.** დღეს სრულდება ასი წელი რუსეთის ცნობილ სახალხო პოეტის ა. ვ. კოლცოვის დაბადებიდან. განსვენებულის პატივსაცემლათ თანახმათ სახალხო სკოლის დირექტორის მიწერილობისა, ქალ. სკოლებში გაიმართება იუბილეი. დღეს გადაიხდიან პანაშვიდს, ხოლო ერთ რომელიმე უქმე დღეს გამართულ იქნება სალიტერატურო-მუსიკალური საღამო, სადაც მოსწავლეებს გააცნობენ პოეტის ცხოვრებას და მოღვაწეობას და დაურიგებენ სურათს.

— **„გოლოს კავკაზას“ რედაქტორის საქმე.** 15 ოქტომბერს თფილისის საოლქო სასამართლო განიხილავს გაზ. „გოლოს კავკაზას“ რედაქტორის. ვ. ვასილიევის საქმეს. მას ბრალდება ბეჭდვითი სიტყვის შემწეობით ცილის წამება.

— **იუბილეი.** 25 ოქტომბერს სრულდება 15 წელი მას შემდეგ, რაც ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. ნიკოლაძე მოღვაწეობს ქალაქის თავის თანამდებობაზე. ფოთის ქალაქის თვითმართველობა ამ დღეს გაუმართავს მას სადილს ამასთანავე, თფილისის ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა გაუგზავნოს ნ. ნიკოლაძეს მისალოცი დეპეშა.

— **თფ. პოლიცმეისტერის** ბრძანების თანახმათ, ვინაიდან ქალაქში უკვე მშვიდობიანობა დამყარდა, მოისპო მეეზოვეების მორიგეობა ღამით.

— **სასამართლო.** 14 ოქტომბერს თფილისის სამოსამართლო პალატის სესია ქუთაისში გაარჩევს კოსტა ლეკიშვილის და სტ. პავლე ჯვარიშეიშვილის საქმეს. მათ ბრალდებათ 1905 წ. სამტრედიის ნაწილში რევოლიუციონურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღება.—ამავე 14 ოქტომბერს გაირჩევა ყოფილ სოფლის მასწავლებლის ქსენოფონტ ზ. ძიძაუტაძის საქმე, რომელსაც ბრალდება 1905 წ. ლეჩხუმის მაზ. რევოლიუციონურ მოძ-

ლიც დამყარებულია დამოუკიდებელ ორგანოებზე, რომელსაც ცხოვრებაში გაჰყავს ესა თუ ის ფუნქციები (გამწესრიგებელი—საერობო კრებები) საზოგადო კანონმდებლობის ფარგლებში. ავტონომია ნიშნავს საოლქო კითხვების შესახებ დამოუკიდებლად საკანონმდებლო ნორმების გამოცემას. ნამესტნიკის პროექტით სამხრო (краевое) ერობას უნდა მიენიჭოს რუსეთის ცენტრალურ გუბერნიების ერობის კომპეტენცია. კითხვის ასე დაყენებას ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ დღევანდელ საგუბერნიო ერობათა კომპეტენცია მეტათ შეზღუდულია; თითქმის სამეურნეო საქმეებშიაც კი (მათ არ ექვემდებარება სასურსათო საქმე, სკოლების საქმეში მეტათ ვიწრო ფარგლებში არიან მომწყვდეულნი, გზების კომპეტენცია სასოფლო გზის იქით აღარ მიდის და სხვა და სხვა) მეტია ადმინისტრატიულ უფლებაზე ლაპარაკი, ამის უფლება მათ სულ არა აქვთ. ერობებს უფლება არა აქვთ იყოლიონ თავიანთი აგენტები საერობო გადასახადის ასაკრეფათ, მათ არავითარი ძალა არა აქვთ სისრულეში მოიყვანონ თავიანთი დადგენილებანი და სხვა. მათ მეტი გზა არა აქვთ, ასეთ დროს პოლიციას და საერთოთ ადმინისტრაციას უნდა მიმართონ, ასეთი არა ნორმალური წესები უნდა მოისპოს; ადგილობრივ ორგანოთა მართველობის სისტემა დამყარებული უნდა იყოს არჩევითი საფუძველზე. ასეთია დამცველი პოლიცია, მზვერავი ორგანო და სხვა და სხვა. ამ გვარათ, ერობის კომპეტენცია გაფართოებულ უნდა იქნას, როგორც მაგალითათ ინგლისში, ადმინისტრატიულ უფლების მხრით. ასეთ პირობებში „ავტონომიის“ საკითხი იმდენათ მწვავე აღარ იქნება. მაგრამ ჩავყვეთ ქვევით.

საზოგადო საიმპერიო საკანონმდებლო დაწესებულება განაპირა ქვეყნების ცხოვრებასთან ძალიან შორს არის და მათ ადგილობრივ პირობებს აგრე რიგათ არ იცნობს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია ადგილობრივ დაწესებულებებს და კერძოთ კავკასიის სამხრო ერობას მიენიჭოს ადგილობრივ საქმეების გადაწყვეტაში ფართო დამოუკიდებლობა. მარა სად უნდა იყვეს დამოუკიდებლობის საზღვარი? დამოუკიდებლობის ასეთ განსაზღვრას უპირველეს ყოვლისა იწვევს ზოგიერთი პოლიტიკური მოსაზრება. ცენტრის და განაპირა მხარეების ცხოვრება პოლიტიკურათ ისე მაგრათ შეკავშირებულია, ისე დაინტერესებულია, როგორც ერთი ისე მეორე პოლიტიკური ბრძოლის შედეგით, რომ ჯერ თვით განაპირა ქვეყნებისთვისაც დიდი რისკი იქნებოდა კითხვის „პოლიტიკური ავტონომიის“ ნიადაგზე დაყენება. ფინლიანდიის დღევანდელი მდგომარეობა აშკარათ ამტკიცებს ამ აზრს. ნუ დავივიწყებთ, რომ „ავტონომიას“ გადააქვს საკანონმდებლო მოქმედების ცენტრი, მაგრამ საბოლოოთ გადამწყვეტი ინსტანცია ისევ ის რჩება—უმაღლესი მთავრობა. მეორე მხრით მოვახდენთ რა მასის ყურადღების კონცენტრაციას პოლიტიკური ავტონომიის მოპოებაზე, მათ კლასთა ბრძოლის საკითხს ვაყენებთ უკანა რიგში, და ჩვენდა უნებურათ გადავდივართ ნაციონალიზმის ნიადაგზე და დავაბნელებთ ნაციის სხვადასხვა კლასის სოლიდარობის იდეას პოლიტიკურ ბრძოლაში, რაიცა ჭეშმარიტი დემოკრატიული პარტიისათვის, თანამედროვე მომენტში, და არამც თუ თანამედროვე მომენტში, საზოგადოთაც, შეუწყნარებელია. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ერობის კომპეტენცია ადგილობრივ კითხვებში განისაზღვრებოდეს სამეურნეო საქმეებით და ადმინისტრატიულ მექანიზმის მოწყობით, როგორც ჩვენ ეს ზემოთ ვსთქვით?

სრულიადაც არა.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ ადგილობრივ საქმეთა შესახებ კანონის გამოცემა არ შეიძლება ისე, თუ საკანონმდებლო დაწესებულებას არ წარედგინა სამხრო (краевое) ერობის დასკვნა. ეს საჭიროა უპირველეს ყოვლისა საქმის გასაცნობათ, რადგან თავისთავათ ცხადია, რომ ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებაში ცალკე მხარეებს არ ეყოლებათ ბევრი წარმომადგენელნი. შემდეგ სამეურნეო ადმინისტრატიულ საქმეში ცალკე მხარის ერობას უნდა მიენიჭოს სავალდებულო ნორმების გამოცემის უფლება. ეს არის ეგრეთ წოდებული ადმინისტრატიული კანონმდებლობა.

დღეს სხვა და სხვა კითხვების შესახებ სავალდებულო ნორმების გამოცემის უფლება (სოფლელთა მოჰორებით დასახლება, ცეცხლის გაჩენის წინააღმდეგ მიზნით, მუშათა დაცვა სამეურნეო მანქანების დასახიჩრებისაგან და სხვა და სხვა) მინიჭებული აქვს საგუბერნიო ერობას, მაგრამ ერთი რომ, ასეთი კითხვები ძლიერ მცირეა და მეორეთ, ამ მხრით ერობათა მოქმედება ამ დარგში ფრიად შეზღუდულია თვითნებობით და საზოგადოთ ადმინისტრაციის მოქმედებით. ერთიც და მეორეც უნდა მოისპოს. საჭიროა მეტათ გაფართოებულ იქნა საოლქო ერობის კომპეტენცია ადგილობრივ კითხვებზე სავალდებულო ნორმების გამოცემის შესახებ საზოგადო კანონმდებლობის ფარგლებში. შემდეგ ადმინისტრატიული ჩარევა აქ სრულიად უნდა მოისპოს. ადმინისტრაციას მხოლოდ უნდა მიენიჭოს უფლება განასაჩივროს უმაღლეს ინსტანციაში ერობის დადგენილება, ვსთქვათ, სასამართლოში (როგორც შეერთებულ შტატებში უმაღლესი სასამართლოა), რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ეწინააღმდეგება თუ არა გამოცემული ნორმა საზოგადო კანონმდებლობას.

მოვიყვან რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს ცალკე მაზრის ერობის ასეთ „კანონმდებლობისას“. თავის საკუთარი მოსაზრებით, მაგალითად, მას შეეძლო დაეარსებია სპეციალური ორგანიზაციები სხვადასხვა დარგის სახელმძღვანელოთ (ღარიბთა სამზრუნველო, გზის და სანიტარული სამზრუნველო და სხვა. „სამიზნო“ კავშირები, ე. ი. დაწესებულება, რომელსაც ერთი განსაზღვრული მიზანი აქვს და სხ.) შემდეგ, მაგალითათ, სასურსათო საქმეში სამხრო ერობებს უფლება ექნებოდათ გამოეცათ ადგილობრივი სასურსათო წესდება, მხოლოდ საზოგადო კანონის წინააღმდეგი. მაგალითად, არ ყოფილიყო დამყარებული წოდებრივ და სასულო გადასახადზე (სასურსათო რესურსი შეიძლება ყოფილიყო ფულით და ნატურით და სხვა) ასე იქნებოდა საქიმი წესდების შესახებაც. არსებულ უნივერსალური წესდების მაგიერ იქნებოდა ადგილობრივი, სამხრო ერობათა მიერ გამოცემული. საზოგადო დახმარების შესახებ სამხრო ერობებს შეეძლოთ შემოეღოთ გადასახადები ღარიბების სასარგებლოთ და სხვა. ხალხის განათლების შესახებ შეიმუშავებდენ სასკოლო პროგრამებს, რომლებიც დააკმაყოფილებ განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნილებებს. მათივე უფლებას შეადგენს მართვა-გამგეობის ტიპის შემუშავება, სკოლის გარეთ სწავლა-განათლების მოწყობის საქმე და სხვ. ერთი სიტყვით, სამხრო ერობათა „საკანონმდებლო“ მოქმედების საზღვრები შეძლება და საჭიროც არის ფრიად ფართო იყოს რამდენათაც საქმე ეხება სამეურნეო ადმინისტრატიულ სფერას. არჩევნების სისტემაზე დამყარებული ადგილობრივი ორგანოები და მათი სავსებით დამოკიდებულება საოლქო თვითმართველობასთან—აი რა არის საჭირო განაპირა მხარეების პოლიტიკურ ზრდა-განვითარებისათვის.

ამგვარათ, ავტონომიის საკითხი, ჩვენი შეხედულებით, ასეთ ნიადაგზე დგება, რომელიც როგორც განაპირა მხარეებისათვის, ისე „ცენტრისთვის“ სასურველია.

Б. Веселовскій.

რაობაში მონაწილეობა. მათ გაასამართლებენ სასჯელთა დებულების 102 მუხ. ძალით.

— **დაპატიმრება.** როგორც ბორჯომიდან გვწერენ, ამ დღეებში სოფ. წაღვერიდან იქ ჩაუყვანიათ რვა გლეხი, რომლებიც დაუპატიმრებიათ 27 სექტემბერს. მიზეზი დაპატიმრებისა გამოურკვეველია.

— **შემოწირულება.** შარშან თფ. წვრილ ვაჭართა პროფ. საზოგადოების მთავარ კომიტეტის ინიციატორობით თფილისის წვრილმა ვაჭრებმა ქ. შ. წ.-კ. საზოგ. სასარგებლოთ გადადვეს ერთი დღის ნავაჭრიდან, 771 მან. 50 კაპ. ხსენებულ საზოგადოების კომიტეტი, წელსაც შეუდგება ფულის მოკრებას. ამ დღეთ დანიშნულია 23 ოქტომბერი.

— **ქურდების ბრბო.** პოლიციამ ცნობა მიიღო, რომ თფილისში არსებობს ორგანიზაციულათ მოწყობილი ბრბო ქურდებისა, რომელთა შორის ბავშვებიც ურევიათ. ამის გამო, 25 სექტ. ქუჩაში ეჭვით დააპატიმრეს აგრანომ მიხეილ ცელკონამიძის 14 წლის შვილი, რომელიც ხსენებული ბრბოს შიკრიკი აღმოჩდა. შემდეგ პოლიციამ შეიპყრო დანარჩენი წევრი ბრბოსი: ესენი აღმოჩნდენ. ნოვომოსკოვის მაზრის მცხოვრები ვასილ ჩიმკინი, რომელიც 1905 წ. გამოიქცა სალდათობიდან, სასიანსკი პოლკიდან. მას უპოვეს გასაღებები, პასპორტის ბლანკი და სხ., თფილისის მოქალაქენი. მიხეილ ყაზიშვილი მიხ. შევჩენკო და მიხ. ტიუფანოვი და ალექსანდროპოლის მოქალაქე ლევან პოლოსოვი, რომელიც თავისი ძმის პასპორტით ცხოვრობდა. ამათ სხვათა შორის ბრალდებათ მონაწილეობის მიღება შემდეგ ქურდობაში: 22 სექ. მიხეილ ბოჭაშვილის ბინიდან გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები 800 მან. და 166 მან. ფულათ, აგვისტოს პირველ რიცხვებში მიხეილის ქ. მაქსიმოვიჩის ბინიდა მოიპარეს ოქროსა და ვერცხლის ნივთები და ნოხები 1240 მან. და სხ. მათ ბინებზე იპოვეს სხვადასხვა ნაქურდალი ნივთები.

— **ექსკურსია.** 1 ოქტომბერს სახელოსნო სასწავლებლის მე-4 კლასის მოსწავლენი გაემგზავრენ საექსკურსიოთ ავჭალაში. იქ მათ დაათვალიერეს ის ადგილი, საიდანაც გამოყავთ წყლის მილი და საღამოსვე დაბრუნდენ.

— **შეპყრობა.** 30 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა საგ.-გუბერნატორიდან ადმინისტრატაული წესით გაგზავნილი და თავის ნებით დაბრუნებული არაბ-ასლან-ოღლი.

— **უპასპორტოები.** 30 სექტემბერს, მე-9 საპ. ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 13 უპასპორტო, მათ ვინაობის გამორკვევას შეუდგენ.

— **სხვადასხვა ამბები.** 29 სექტემბერს დააპატიმრეს ქუთაისის მაზრის მცხოვრები აზნაური იაკინთე შარაშანიძე,—მე-9 საპ. ნაწილში პოლიციამ დაათვალიერა მანთაშევის ხორცის დუქანი. დუქანში აღმოაჩინეს 1 ფუთი დამპალი ხორცი, რომელსაც მატლები ესეოდა. ხორცი იქვე დასწვეს, ხოლო მანთაშევი პასუხისგებაში მისცეს.—30 სექტემბერს ერევნის მოედანზე პოლიციამ დააპატიმრა ეკატერინოსლავის მოქალაქე იური სლავინი, რომელსაც ბრალდება 8 000 მან. გაფლანგვა ნ. შუსტოვის ქარხანაში სამსახურის დროს მოსკოვში. მას კარგა ხანია დაეძებდა მოსკოვის პოლიცია.

— დღეს საღამოს გამოვა იუმორისტული ჟურნალი—«მათრახი და სალამური» შემდეგი შინაარსით: ეშმაკიხ ინტერვიუ — ეშმაკის, ლექსი — იასამანის, კრიტიკოსთან — ტრ. რამიშვილის, მესტვირული ლექსი — ვ. რუხაძის, ლექსები, დეპეშები, კორესპონდენციები, შარადა და სხვ.

## პროვინცია

**სოხუმი.** (ქალაქის საბჭო). 14 სექტ. მორიგი სხდომა ფრიად საინტერესო სოხუმელებისათვის. ამ დღეს ჩამოიხსნეს ნიღაბი მამებმა და მთელი სიგრძე-სიგანით ეჩვენენ საზოგადოებას. მე ვამბობ მარტო ქართველ მამებზე. სანამ პირდაპირ საგანზე გადავიდოდეთ საჭიროა ცოტა უკან დავიწიოთ და ვაუწყოთ მკითხველებს თუ რა აგიტაციას აწეოდნენ აგრეთ წოდებულნი „შოვინისტ-პატრიოტები“, მათი არჩევის დროს: ცნობილი პ—ე კ—შვილი ყველას აჯერებდა: ჩვენები ავირჩიოთ, შეურმე-მეკამეჩე იყვეს — მხოლოდ ჩვენი კი იყვესო. რუსებს ჩვენი ჩაყლაპვა უნდათ და თუ ჩვენები ბლომათ მოუვებიან, ისინი ვერას გასდებიანო, მაგრამ არ დაივიწყოთ, ჩვენები, ეს იმას კი არ ნიშნავდა, რომ განურჩევლათ მიმართულებისა შეიძლებოდა არჩევა, პირიქით, „ერთი მიმართულების“ მიმდევარნი ახლოსაც არ გაატარეს. აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო. გაიყვანეს მათი სასურველი ხმოსნები და დაწყნარდენ. „შუბი მახათში არ დაიმალება... და აი, დადგა 14 სექტემბერი. ამ დღეს სხვათა შორის უნდა გაერჩიათ შემდეგი საკითხი. აქ არსებობს ქალაქის საავათმყოფო, აგებული პროფ. ოსტროუმოვას თაოსნობით, რომელიც დღეს ქალაქის კუთვნილებას შეადგენს. უფროსმა ექიმმა სამსახურს თავი დაანება. იმის ნაცვლათ ქართველმა ნაწილმა საზოგადოებისამ მოინდომა ქართველი ექიმი მოეწვია, რისთვისაც თხოვნით მიმართა ქალაქის საბჭოს. საბჭოს უნდა გადაეწყვიტა, რომ ქართველი ექიმი არა თუ სასურველია, არამედ აუცილებელიც. მიზეზი? მცხოვრებთა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ და ამათში უმრავლესობას რუსულისა არა გაეგებათ რა. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ეს მდგომარეობა უხერხულია, როგორც ავათმყოფთათვის, აგრეთვე ექიმთათვის, თუ ისინი პატიოსნათ ემსახურებიან თავის ხელობას. ოსტროუმოვის სიკვდილის შემდეგ საავათმყოფოს მზრუნველათ არის დანიშნული აქაური სანატორიის პატრონი უკიდურესი მემარჯვენე სმეცკოი, თანაც ხმოსანია, რომელიც გამოცხადდა სხდომაზე, მოვიდა აგრეთვე მეორე ხმოსანი პროფესორი ლევშინი ისიც უკიდურესი მემარჯვენე, თან მოიყვანეს მეორე ექიმი საავათმყოფოსი ბ-ნი პოპოვი, რომელსაც უნდა ეხსნა საავათმყოფო გაჭირვებისაგან. აი ეს სამი პირი წარსდგა საბჭოს წინაშე და დაიწყეს „მეცნიერულათ“ და „სტატისტიკურათ“ იმის მტკიცება, რომ აქ ქართველი ექიმი არ გამოდგება, რადგან ქართველებიდან კარგი ექიმი არ გამოდისო. პოპოვმა ილაპარაკა, რომ აქ არის საჭირო ჩვენისთანა ექიმები და თუ ქართველი მოვიდა, საავათმყოფო ჩირათაც არ ეღირებაო, გარდა იმისა მეგრელებს რათ უნდათ ქართველი ექიმი, როცა ისინი შთამომავლობით სრულიადაც ქართველები არ არიანო. არ ვიცი, ვისი სამეცნიერო გამოკვლევიდან ამოიკითხა ასეთი ჭეშმარიტება!? პროფ. ლევშინმა მოიყვანა სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, რომ რუსთა ავათმყოფთა რიცხვი აღემატება ქართველებსო, მაშასადამე, დასძინა, ქართველ ავათმყოფთა უმცირესობის ინტერესები უნდა შეეწიროს რუსთა უმრავლესობის რიცხვსაო. აი ასეთი დასკვნა გამოიყვანა მან თავის „სტატისტიკისაგან“.

„ჩვენმა“ მამებმა, როგორც კი ჯერი მიდგა ქართველ ექიმის დახასიათებაზე, ზოგმა მათგანმა სული მიატოვა დარბაზი, ალბათ, არ მიაჩნდა ხელსაყრელათ გამოკამათებოდა ასეთ კითხვაში, რომლისთვისაც მადლობას იმათგან არ დაიმსახურებდა. უმრავლესობა კი, როცა შავრაზმული კამპანია ქართველებს მიწასთან ასწორებდა, ისინი ინდაურებივით ცხვირჩამოშვებულნი თავს უიმედოთ აქნევდენ. ზოგს საიდუმლოთ კიდეც ჩასძინებოდათ და მაშინ გამოაღვიძეს, როცა უმრავლესობამ ნდობა გამოუცხადა ბ-ნ მზრუნველს სმეცკოის და ტაშის კვრით კარებამდე მიაცილა. საუბედუროთ, ჩვენი ხმოსნების უმრავლესობას საბჭოში ძილი შეეჩვიათ და გამოიღვიძებენ მხოლოდ მაშინ, როცა კენჭის ჩაგდება არის საჭირო.

**ამერიკელი სოხუმში.**

—

**ბათუმი.** 23 სექტემბერს შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომის გახსნის წინ მრავალ მაყურებელთა თანადასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი ვერაგულათ მოკლულ ექიმის ტრიანდაფილიდისის და ყოფილ ხმოსნის დ. თაყაიშვილის სულის მოსახსენებლათ. სხდომა გაიხსნა ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. ერთი ხმოსნის შეკითხვის თანახმათ თავმჯდომარე კითხულობს დეპეშას ნამესტნიკისაგან, საიდანაც ვტყობილობთ, რომ სათუთო გადასახადის შესახებ შუამდგომლობა შეწყნარებულ არ იქნაო და უმატებს, რომ პეტერბურგში ყველა თანაგრძნობით მიეგება ჩვენს შუამდგომლობას, ახლა პირობები შეიცვალა და ჩვენც სხვაფრივ უნდა მივუდგეთ საქმეს, როცა გავიგებთ ნამდვილ მიზეზს ჩვენი შუამდგომლობისაო. შემდეგ კითხვა დაისვა სესხის აღების შესახებ. მცირე კამათის შემდეგ გადასწყვიტეს აღებულ იქნას სესხათ დაახლოებით 3,390,000 მ. ქალაქში კანალიზაციის გასაყვანათ, თეატრის, კურზალის და ჰიდრავლიკური სადგურის ასაშენებლათ და ქალაქის სხვა აუცილებელ საჭიროებათა დასაფარავათ.

— 27 სექტემბერს მოხდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ადგილობრივ განყოფილების წევრთა კრება გამგეობის ასარჩევათ. საზოგადოების 135 წევრიდან კრებაზე გამოცხადდა მხოლოდ 43 წევრი. იმავე კრებაზე მიიღეს 17 წევრი, რის შემდეგ მოხდა არჩევნები. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა გ. ყურული, გამგეობის წევრებათ: ნ. საბაევი, ე. ბერძენიშვილი, ს. მდივანი, ა. შატილოვი, ნ. გოგიტიძე და მეფისოვი. კანდიდატებათ კი სხივაძე და ი. ფერაძე.

ამავე კრებაზე ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების კასიდან შემოსწირეს ადგილობრივ ქართულ სკოლას 30 მ., რისთვისაც კრებამ შემომწირველთ მადლობა გადაუხადა. კრებაზე სურვილი გამოითქვა მოხდეს ახლო მომავალში საზოგადოების წევრთა კრება მომავალი მოქმედების გასათვალისწინებლათ. იმედია ბათუმის საზოგადოება ამ ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას მეტი სიყვარულით და ხალისით მოეკიდება და დახმარებას გაუწევს წევრათ ჩაწერით და სხვა რამე დახმარებით.

— 27 სექ. გამართულ სახალხო სეირნობას სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ მიუხედავათ იმისა, რომ ჯეროვანათ იყო მორთული, ხალხი მოსალოდნელზე ნაკლები დაესწრო.

ქართული სკოლის მასწავლებელს ბ-ნ გელაზანიას, რომელიც სამხედრო წესების მოხსნამდე გაძევებულ იყო ბათუმიდან, გუბერნატორმა ნება არ დართო სექტემბრიდან დაბრუნებოდა თავის ადგილს. **დოსტი.**

—

**მერევის საზოგადოება** (ზემო იმერეთი). ჩვენი საზოგადოება ყოველ მხრით მეტათ ჩამორჩენილია. ხალხი სიბნელის მორევში იხრჩობა. ამით სარგებლობენ „ძლიერნი“ ამა ქვეყნისანი—მემამულე, მღვდელი, მამასახლისი და ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს უკანასკნელ პერანგს ხდიან. აქ დიდძალი მამული ქონდა გ. ამილახვარს. ადგა და ძალათ მიყიდა გლეხებს 120,000 მანეთათ. გლეხებმა გაყიდეს რაც რამ გააჩნდათ და ნაღდი გაისტუმრეს. ნივთების გაყიდვის დროს თვით ამილახვარი შველოდა და თვითონ დებულობდა ძვირფას ნივთებს მეათედ ფასში. ნოემბრის პირველ რიცხვებში ფულის ნაწილის გადახდის ვადა არის და თუ გლეხებმა ვერ შესძლეს დროზე გადახდა, ამილახვარი არ დააყოვნებს, თავის რაზმით იქ გაჩნდება და ვაი გლეხებს მაშინ! გასულ კვირას მოვიდა მისი რაზმი ვიღაც კვალიაშვილის მეთაურობით და ბრუნდს და მართალს თავპირი მათრახის ცემით დაუსივა. **გ.**

## მუშათა შორის

**ბათუმი.** ბათუმის სასტუმრო-რესტორანების მოსამსახურეთა მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. მოპოვებულ უფლებებს ყოველ დღე აკლებენ თითო მნიშვნელოვან მუხლს; ზოგიერთმა „მოძრაობიდან დაზარალებულმა“ ხაზეინებმა ჯამაგირებიც მოუსპეს მოსამსახურეებს. ზოგი მათგანი „კნიჟკაში“ აწერიებს ხელს მოსამსახურეებს: მივიღე ჯამაგირიო და ჯამაგირს კი არ აძლევს, მოსამსახურეც ადგილის დაკარგვის შიშით ვერას ეუბნება. ამას წინათ დაითხოვეს ორი მოსამსახურე. ხაზეინმა მათ ჯამაგირი არ მისცა—თქვენ უჯამაგიროთ მუავდით დაქირავებულიო. მოსამსახურეებმა ეს საქმე გაასაჩივრეს და ვნახოთ რა იქნება. მოსამსახურეებიც თვითონაც ხომ სრულიათ გულგრილათ ეკიდებიან საქმეს. აქ მოსამსახურეთა სასარგებლოდ დადგენილია 10—15 პროცენტი ნაცვლათ საჩუქრებიას, რომელიც მოსამსახურეებმა საჯაროთ დაგმეს და ჯამაგირები მოითხოვეს, მაგრამ ეს მაშინ იყო, დღეს კი სულ წინააღმდეგს ვხედავთ.

მიუხედავათ იმისა, რომ სასტუმრო-რესტორანებში თითო ოროლა გაზეთი მაინც მოიპოვება, მის წაკითხვისათვის არავინ იტეხს თავს. მეტათ ეწაფებიან კარტ-ნარდს, წითელ ნუნუას და ქეიფს. მოსამსახურეთა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული ნაწილი გულის ტკივილით შესცქერის ყველა ამას, მაგრამ რა ქნას; თუ ენა დაძრა, ისედაც „კრამოლნიკად“ წოდებულს ქუჩას უჩვენებენ და შეიძლება მეტიც. ასეთია ჩვენი მოსამსახურეების მდგომარეობა.

**ილია ტოლებელი.**

—

**ფოთელ მკერვალთა შორის.** რაც დრო გადის, აქაური მკერვალთა „ხაზეინები“ თან და თან უჭერენ მუხრუჭს თავიანთ ქარგლებს, ისინი არავითარ საშუალების წინ არ იხევენ ოღონდ, თავისი გაიტანონ და მუშების უფლებები ფეხ ქვეშ გათელონ. მათ ასეთ ადვილ წახნილობას ხელს უწყობენ ზოგიერთი ქარგლები, ისინი თამამათ ასრულებენ „ხაზეინების“ გულის წადილს და ამით „ხაზეინებიც“ სარგებლობენ! აქ ბრძანდება ისეთი „ხაზეინი“, რომელიც წარსულ წელს ამუშავებდა სომხებს და ბერძნებს, ის მაშინ ბრძანებდა, რომ კავკასიელ ქარგალს სახელოსნოში არ გავატარებო, დღეს კი სულ იმერლებს ამუშავებს! აქ განუსაზღვრელია სამუშაო დრო, მასთან ხელფასიც, ქარგლები გაიძახიან: ოღონდ კი იყოს სამუშაო და ხელფასი არაფერიაო. ასეთია ქარგლების მდგომარეობა.

**სკურე-პირელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** 1 ოქტომბერს ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნა რუსულიდან თარგმნილი ბ. მესხის მიერ 5 მოქ. პიესა „მედეა“.

„მედეას“ როლში გამოვიდა ქ. ჩირგაძე. ის სულ მეორეხელ გამოდის ქართული თეატრის სცენაზე. პირველათ, როგორც ვიცით, ასრულებდა „დალატში“ ზეინაბის როლს. თითქმის ყველამ აღნიშნა მაშინვე, რომ ქ ჩირგაძე დიდი ნიჭის პატრონია, და თუ ვინმე არ იყო კიდევ ამაში დარწმუნებული და მარტო ერთი გამოსვლით ვერას ამბობდა, უკანასკნელი წარმოდგენა ნათლათ დაუმტკიცებდა თუ რამდენათ ძლიერი არტისტიული ნიჭის პატრონია ქ. ჩირგაძე.

რასაკვირველია, მას ძალიან უშლის ხელს ე. წ. სასცენო ტეხნიკის უცოდინარობა, თავის დაჭერა, შესაფერი პოზის მიღება, სახის გამომეტყველება შესაფერათ როლისა ამა თუ იმ ადგილას. ეს, რასაკვირველია, თვალსაჩინო ნაკლია, მარა ეს ნაკლი არც თუ ისე ძნელი შესავსებია, რომ რეჟისორი ცოტას მაინც ცდილიყო ამ ნაკლს საგრძნობლათ შეასუსტებდა და მაშინ მისი თამაში კიდევ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, მარა, სამწუხაროთ ჩვენ სცენას, თითქმის არას დროს არ ყოლია შესაფერი რეჟისორი და ასეთ პირობებში არც შეიძლება ყავდეს. რეჟისორობა ბევრს ისე ადვილი გონია, თითქოს მისი ასრულება ყველას შეეძლოს. ამიტომაცაა, რომ ხშირათ ისეთ პირებს ვხედავთ რეჟისორის როლში, რომლებსაც პიესა ხშირათ არამც თუ შეუსწავლიათ სავსებით, სანამ სცენაზე გამოიტანდენ, არამედ, არც კი წაუკითხავთ გონებ თავიდან ბოლომდე. ისიც მოხდება ხოლმე, რომ წაიკითხოს—მარა სავსებით ვერც კი შეიგნოს. ამისთვის საჭიროა ინტელიგენტური ცოდნა-მომზადება, სათანადო კითხვის საფუძვლიანი ცოდნა და სხვა, და ამას კი, სამწუხაროთ, მოკლებულია ბევრი მათგანი, ვინც ასეთ ძნელ და რთულ მოვალეობას კისრულობს. საჭიროა და აუცილებელი სცენის ამ მხარეს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ქართული თეატრის მწევრებმა.

ბ. შარაშიძეს (იაზონი) არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ როლის უცოდინარობა, რასაც ზედ დაერთო კიდევ გადაჭარბებული მღელვარება და ყველა ამან დიდათ შეუშლა ხელი იმ შთაბეჭდილების განახევრებას, რომელიც მან მოახდინა დამსწრეებზე ორი წინა წარმოდგენაზე. რომ მოინდომებია, ეჭვი არაა თავის როლს კარგათ ჩაატარებდა, ამის თავდებია სულეიმან ხანი.

სხვა მომქმედნი პირები ყველა ნაცნობი დასის წევრები იყო და მათ საზოგადოება ასე თუ ასე იცნობს. **№.**

### წერილი რედაქციის მიმართ.

„ჩანგის“ მე-30 ნომერში, „მომავლის“ მე-18 ნომერში და „მათრახ-სალამურის“ მე-15 ნომერში დაბეჭდილია წერილები, რომლიც ჩემდამი აშკარა ცილის-წამებას შეიცავენ. სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლიც აქ ჩამოთვლასაც არ შევუდგები, დღემდე პასუხი არ გამიცია, რითაც ცილის დამწამებლები გათამამდენ და უკანასკნელ წერილში, რომელიც მოთავსებულია „მათრახ-სალამურის“ უკანასკნელ ნომერში, წერილის ავტორი ბ. ვოლდემარი ყოველივე საზღვარს გადასცდა. ვინაიდან შეუძლებლათ მიმაჩნია ყველა ავტორების პასუხისგებაში მიცემა, გადავსწყვიტე უკანასკნელი წერილის ავტორს ბ. ვოლდემარს ვაგებინო პასუხი. ამისათვის წინადადებას ვაძლევ მას აიხადოს ნიღაბი და გამოვიდეს სამედიატორო სამართალში. ვადას ვაძლევ ერთ კვირას დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა. პასუხის მიღების შემდეგ დავასახელებ ჩემს მედიატორებს.

ფოთი, 24 სექ.

ექიმი Я. Бухбиндеръ.

—

ბ. რ.! უმორჩილესათ გთხოვთ დაუთმოთ მცირედი ადგილი ამ ჩემს წერილს

„მომავლის“ მე 25 ნომერში ბ. კოტე ვეზიროვი ისევ სწერს ჩემს შესახებ და სამედიატორო სამართალში მიწვევს. ბ. ვეზიროვთან გასამართლებაზე მე უარი ვსთქვი, იმიტომ, რომ მე და მას შორის დიდი ხანია დავაა ატეხილი იმ ნიადაგზე, რომ მე მისი მამული შევიძინე და მასთან ისეთ კაცთან გასამართლება, რომელიც ვინ იცის, რას არ ჩადის გლეხების წინააღმდეგ, სრულიათ არ მსურდა, მაგრამ რადგან ის დაჟინებით მოითხოვს, რომ საზოგადოებას მისი სიტყვები სიმართლე არ ეგონოს, მეც თანხმა ვარ სამართალში გაყოლის. მხოლოდ პირველ უფლისა მე მსურველი ვარ გავსამართლდე იმ 14 გლეხებთან, რომლებიც მადლობას უცხადებენ ბ. ვეზიროვს. თუ ისინი გამოვლენ სამართალში მე მოხარული ვიქნები. ხოლო თუ ისინი უარს იტყვიან, იმ შემთხვევაში ბ. ვეზიროვსაც გავყვები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ვინც გამტყუნდება გადაიხადოს 100 მან. რომელიმე საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოთ. ამ სამართალში მე დავამტკიცებ ვინ უფრო აწიოკებს გლეხებს—მე თუ ბ. ვეზიროვი.

**ტრ. ჯაფარიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

ექიმმა
**პ. არდაზიანმა**
განახლა ავათმყოფების მიღება.
მე 2 თუმანოვის ქუჩა № 28—ავჭალის მოედნის კუთხე № 13 ნემეცების სასაფლაოს ახლო. დილით 9—12 სათ. საღამოთი 5—7 ს. (0—თ—19)

**გამოცდილი მასწავლებლები**
(მონაწილეობას ღებულობენ მასწავლებელი ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა.
ამზადებენ **ქალ-ვაჟთ**, ყვლა **დაბალ** და **საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო სასწ.**, **სასულიერო**, **საფერშლოტეხნიკის**, **რეალურ**, **საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის**, **სამასწავლებლო სემინარიისთვის**. ამზადებენ **სოფლის** ერთ და **ორ კლასიან სასწავლ.**, როგორც ქალებს ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხ-ჩინზე**
აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან.
მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.
თვიურათ ფასი 5 მ. 20 მ.-დე, იყვანენ **პირობითაც**.
ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი ქალი** ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**
ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).
მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—23)

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯევი** გ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი** მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10\frac{1}{2}$—11.
**გურკო** ა. გ. შინაგანი, შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი** ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.
**მადალაშვილივი** გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.
**მანსვეტაშვილი** გ. მ. შინაგანი. ორშ. ხუთშ. და შაბ. 1—2.
**მელიქიშვილი** ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1.
**მუსხელიშვილი** გ. ს. თვალის, ორშაბ, ოთხშ. და პარსკ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.
**პირადოვი** რ. ბ. ქირურგ. ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი** ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.
**რცხილაძე** ნ. კბილ. ყოვ. დღ. 9—11.
**სობოლევსკი** გ. ფ. ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.
**თიკანაძე** ი ე. დედაკ. საბებიო ყოველდღე 1—2 ს.
**ფედოროვი** ე. გ. მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—3)

სტამბა ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3.